პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რეკტორატის, კომკავშირის კომიტეტის, აგიტ-პროფბიუროს და პროფკომის ორგანო

Авангард Сталинели—орган парткома, ректората, комитета ЛКСМ, профкома и месткома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 10 (324) | გამოდის მეცხრე წელი პარასკევი, 24 მარტი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

მოგვითხრობენ თავიანთი საქმიანობის შესახებ

ჩვენი გაზეთის რედაქციამ შემოიღო ცალკე განყოფილება — „მოგვითხრობენ თავიანთი საქმიანობის შესახებ", რომელშიც აისახება ცალკეული ფაკულტეტების ცხოვრება.

დღევანდელ ნომერში თავიანთი საქმიანობის შესახებ გვიამბობენ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები.

ერთ თვეზე მეტია რაც მთელი სამუშაო დღის მანძილზე სტუდენტებით გადატვირთულია პროფ. ალ. ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო გეოგრაფიული ბიბლიოთეკა, ქვეყანათმცოდნეობისა და ეკონომიური გეოგრაფიის კათედრები.

აქ წარმოუდგენელია გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დიპლომანტი სტუდენტების მიერ ველზე ჩატარებული მუშაობის დროს შეგროვილი მასალებისა და დაკვირვებების კამერული დამუშავება.

მთელი ენერგია, მთელი მონდომება დიპლომანტი სტუდენტებისა იქითაა მიმართული, რომ სადიპლომო შრომები ხარისხოვნად, მაღალ მეცნიერულ დონეზე შეასრულონ.

სურათზე: ჯ. კეკელია, ო. ართილაყაა, დ. ხუხუნაიშვილი, ნ. მღებრიშვილი და კ. ლეფონავა სადიპლომო მასალებზე მუშაობისას.

ჩვენი მუშაობის ავ-კარგი

ბევრი კარგი შეიძლება ვთქვათ ჩვენი ფაკულტეტის კომკავშირულ საქმიანობაზე, მაგრამ ხარვეზებიც მოგვეძებნება.

წერილიც სწორედ ამ ავსა და კარგს შეეხება, რომელიც ჩვენს მუშაობაში დღეისათვის ყველაზე უფრო აქტუალურად მიგვანნია.

ცნობილია, რომ ფაკულტეტზე კომკავშირული სისხლსავსე საქმიანობა წარმოუდგენელია, ეს მისი თითოეული რგული ერთნაირი მონდომებით არ მუშაობს. უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი ერთიანი მონდომება ჯერ-ჯერობით ჩვენს ფაკულტეტზე მიღწეული არ არის.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ფაკულტეტის ალკა ბიუროს ეს საკითხი პირველ რიგში დაიყენა და გარკვეული ღონისძიებები დასახა მის აღმოსაფხვრელად. ასე მაგალითად: ფაკულტეტის ალკა ბიუროს სხდომაზე საფუძვლიანად განვიხილეთ III კურსის ალკა ბიუროსა და მისი მდივნის ამხ. ჯ. დოლიძის მუშაობის საკითხი და რიგი ამხანაგებისა, რომლებიც უგულისყურიოდ ეკიდებოდნენ დაკარსებულ მოვალეობას, მესაფერისად დავსაჯეთ.

ფაკულტეტის ალკა ბიუროს ცდილობდა ჯერიანები ყურადღება მიექცია სტუდენტთა მიერ დისციპლინის დაცვის საკითხისათვის. გარდა ამისა, რომ ალკა ბიუროს სხდომებზე ბშირად ვიხილავდით ამ საკითხს, მჭიდრო ურთიერთობას ვამყარებდით ჯგუფხელებთან, ვეხმარებოდით დეკანატს. ამის შედეგია ის, რომ ფაკულტეტზე გვყავს მოწინავე სტუდენტები — ლ. სახვლოძე, გ. ზარატანაშვილი, ე. წილოსანი და სხვები. მაგრამ, ჩანს, ჩვენს მუშაობას მაინც აქვთდა ხარვეზები, რადგან დღეისათვის უფიციალურნო სტუდენტებისაგან არა ვართ დაზღვეულნი: ა. თეოზაძე (403 ჯგ.), დ. ზეგარია (490 ჯგ.) და სხვ., ხოლო კურსის ალკა ორგანიზაციები მათ მიმართ ვერ ატარებენ ეფექტურ ღონისძიებებს.

ჯგუფის ჯგუფები, სადაც ჯგუფხელები ყველაფერს აკეთებენ ლექციათა-სემინარებს, უმეზეზოდ გაცდენების აღმოსაფხვრელად და მიზანაყად აღწევენ (ქ. გოგატიძე, ნ. ჯავრიშვილი, ნ. ნიკოლეიშვილი, ა. ნიქოლაძე და სხვ.), მაგრამ გვყავს ისეთებიც, რომლებიც ბაკლეს ზრუნავენ ამ საკითხის მოსაგვარებლად (ნ. მათორიშვილი, ნ. რჩეულიშვილი, ე. ბასილაშვილი და სხვები).

ვეცდილობთ, რაც შეიძლება მასიური გავხადოთ სპორტი ჩვენს ფაკულტეტზე. შევინარჩუნოთ ის კარგი ტრადიციები, რომელიც კარგა ხანია გაგვაჩნია. ამ მიზნით ახლახან ჩავატარეთ შინასაფაკულტეტო სპარტაკიადა, ვატარებთ ამხანაგურ შეხვედრებს ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებთან და სხვ.

და თუ ამ დარგში შეგვიძლია კარგის თქმა, სამაგიეროთ ვერაფრით დაკიტრაბახებთ მხატვრულ თვითშემოქმედებაში. აგერ მესამე წელია საუნივერსიტეტო ოლიმპიადებზე წარმატება ჩვენგან შორს არის და ახლაც საფაკულტეტო ოლიმპიადის ჩატარება ვერ შეგვეძლოთ.

ამბობენ, რომ შემჩნეული ნაკლი, მისი გამოსწორების საწინდარიაო. ჩვენც ვეცდებით თვითკრიტიკას სანქმე მოვაყოლოთ.

საგაზაფხულო სესიები კარზე მოგვადგა (ჩვენი გამოცდები სხვა ფაკულტეტებთან შედარებით ადრე იწყება) და ამჟამად ფაკულტეტის ალკა ორგანიზაციის მთელი ყურადღება მათი წარმატებით ჩატარებისაკენ არის მიმართული.

ავთანდილ მუსაერიძე,
გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ალკა ბიუროს მდივანი.

ემზადებიან ბულმოდგინედ

უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები ყოველთვის წარმატებით გამოდიოდნენ. მათ გადწყვეტელი აქვთ არც მიმდინარე წელს უალტორნ ტრადიციებს.

სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში წაკითხულმა მოხსენებებმა ცხადყვეს, რომ ამ გადაწყვეტილებას მყარი საფუძველი აქვს. უკვე შერჩეულია საუკეთესო მოხსენებები საუნივერსიტეტო სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე გასაანგარ. მათ შორის არის ჩვენი სტუდენტების — ჯ. ჭელიძის, რ. ბერაძის, კ. ბენიძის მოხსენებებიც. **სურათზე თქვენ სწორედ მათ ხედავთ: ამხანაგებმა ბევრი საგულისხმო შენიშვნები გაკეთეთ მათი მოხსენებების გარშემო. ახლა საჭიროა შემჩნეული ხარვეზების გამოსწორება და ისინი ენერგიას არ იშურებენ, მუშაობენ.**

ვაქას წარმატება



ეს. იყო მიმდინარე წლის იანვარში. ქ. ლენინგრადში ჩატარდა სტუდენტთა საკავშირო პრეველობა მძლეოსნობაში.

დიდ წარმატებას მიაღწია ჩვენი ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ვაჟა ჭონიშვილმა. მან ორეულში (ტერმა სიგრძეზე და რბენა 60 მ-ზე) სძლია მრავალ გამოცდილ სპორტსმენს და III ადგილი დაიკავა. 60 მეტრზე რბენაში ანვენა დრო: 6,9 წამში, რაც უნივერსიტეტის ახალი რეკორდია.

გაბატონებთან ვარჯიშობს ვაჟა მძლეოსნობაში, მაგრამ ეს ბეჯით სწავლაში ხელს როდი უშლის. იგი სწავლის ფრიადოსანია. ახლა იგი ერთნაირი მონდომებით ემზადება როგორც საქართველოს პირველობისათვის, ისე საგაზაფხულო სესიებისათვის.

სურათზე: ვაჟა ჭონიშვილი წვრთნის დროს.

ზ. ჩიკვილაძე,
III კურსის სტუდენტი.

წერილი რედაქციას

„უდავოდ კარგი საქმეა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ და მზრუნველობას უწევენ სტუდენტებს მათს შემოქმედებითს საქმიანობაში. სტუდენტებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობისათვის. ფართო მხარდაჭერას პოულობენ, ანუ ლიტერატურით გატაცებული ახალგაზრდები: შექმნილი აქვთ ახალგაზრდა მწერალთა წრე, უწყობენ საღამო-დისპუტებს, შეხვედრებს და სხვა.

ამ მხრივ ვერ დაიტრაბახებენ სამხატვრო ხელოვნებით გატაცებული სტუდენტები. უნივერსიტეტში თითქმის არც კი იცნობენ წესიერად ამ სტუდენტებს, რომლებიც ჩინებულად ძერწავენ, ხატავენ. მათ აქვთ სათანადო მონაცემები, მხსწრაფები, ხოლო რაც შეებება ხელის შეწყობას, წახალისებას... რაღაც არ ჩანს. ეს კი პირველ რიგში კომკავშირის ვალია!

სასურველი და საინტერესო იქნება, თუკი ალკკ კომიტეტი დასვამს საკითხს ახალგაზრდა მხატვართა წრის ჩამოყალიბების შესახებ; მოაწყობს ამა თუ იმ სტუდენტის ნამუშევართა განხილვას; ჩაატარებს კონკურსებს და სხვა. მაგალითად, ხომ შეიძლება მოიწვიოს შინასაუნივერსიტეტო კონკურსი, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი, (კონკურსზე წარმოდგენილი იქნეს ფერწერული ნამუშევრები, ჩანდაკებები და პლაკატურ სტილში შესრულებული ნაწარმოებები) და კონკურსის შედეგად შერჩეული საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა.

ბია ბერაძე,
ადმოსავლეთმცოდნეობის ფაკ. I კურსის სტუდენტი.

„გუმბათი შენი —ალალი მტრედის თეთრი მხარივით ლივლივებს ცასთან... ყველამ დაგარქვა იცნების დედა, ვინც იყო აქ და სიმღერა, დასცდა".

ასე გამოხატა თავისი უსაზღვრო სიყვარული ჩვენი სათაყვანებელი უნივერსიტეტისადმი მის კედლებში აღზრდილმა ახალგაზრდა პოეტმა თამარ ჯავახიშვილმა. მართლაც, ძნელია აუღელვებლად იალპარაკო მეცნიერების ამ დიდებულ სამჭედლოზე, რომელსაც ხალხმა სიყვარულით „მეცნიერების დედა" უწოდა. დიახ დედა, რომელიც ყოველ ღილით გულში იხუტებს თავის შვილებს, ზრდის და სწორ გზაზე აყენებს მათ. ვინ იცის, რამდენი „დამაჭრებული" გრძნობა „დაღვინებულა" მის კედლებში, ვინ მოთვლის, რამდენისათვის დაელოცა გზა მეცნიერების დიდ ასპარეზზე, რამდენის ჭაბნა სიყვარულით „მეცნიერების დედა" ეფლო, ან ლეკსებად გადმოღვრილა მისდამი სიყვარულს.

რომელ დედას არ სურს, რომ მისი შვილები კარგები იყვნენ, დაკეკაკცდნენ და სამშობლოს გამოადგნენ, მაგრამ ზოგჯერ სურვილი სურვილად რჩება. სწორედ ამის შესახებ გვინდა ვილაპარაკოთ ამ წერილში.

უნივერსიტეტში კაცმა ქუდი რომ უნდა მოიხადოს, ამის სწავლება, ვფიქრობთ, უხეხსნელია, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთის „კულტურული ადამიანის ქცევების შესახებ" ლექციების ციკლი არ ეყოფა. აბა, სხვას რას შეიძლება მივწეროთ ის ფაქტი, რომ არც თუ იშვიათად შეხვდებით ისეთ სტუდენტს (ზოგჯერ ლექტორსაც), რომელიც არავის და არაფერს ანგარიშს არ უწევს და ქუდით შესანიშნავად გრძნობს თავს. გვინდა მათ ეუთხრათ, რომ შენობაში ქუდის მოხდა ელემენტარული ეთიკის საკითხია.

გვიაროთ უნივერსიტეტის დერეფნებში. ხშირად ნახავთ იატაკზე დაგდებული პაპიროსის ნამწვავს, ნახავთ და გული გეტკინებათ. პაპიროსის ნამწვავის ადგილ არ არის ძნელი საქმე, გაციცხოთ ფანელია მისი გადამგდების გონებიდან და შეგნებიდან ამ უხამსი ჩვევის აბოლება. განა უნივერსიტეტში არ არის სპეციალურად გამოყოფილი ადგილი პაპიროსის მოსაწევად? განა ცოტაა ურნა პაპიროსის ჩასაგდებად? მაგრამ ალბათ ზოგიერთს დიდ ვაჟკაცობად მიაჩნია სტუდენტებით სავსე დერეფანში აბოლებული პაპიროსით გავლა და შემდეგ გოგონების ფეხებთან ნამწვავის დაგდება — აი, შემომხედეთ, რა ვაჟკაცი ვარ, არავის და არაფრის მეშინიაო!

კომკავშრის კომიტეტში ბევრი წერილი მოდის. ბევრი მოთგანი გვახარებს, სტიმულს გვაძლევს მუშაობაში, მაგრამ ზოგიერთი ეკალივით გვესობა ვულში, განსაკუთრებით, თუ კონკურტზე რაიმელიციის მისამართი აწერია. ეს უკვე იმის ნიშანია, რომ ჩვენმა სტუდენტმა სადღაც თავი შეირცხვინა, ლაჟი მოსცხო უნივერსიტეტს. ასეთი წერილები კი, სამწუხაროდ, ცოტა როდია. აი მაგალითებიც:

ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს გივი შალვას ძე ამშუკელს ყველა ვიცნობდით, როგორც კარგ სპორტსმენს, რომელსაც არაერთხელ დაუცავს უნივერსიტეტის ღირსება. ალბათ, თვითონაც ამაყობდა ამით, მაგრამ მისმა უხამსმა მოქმედებამ, როგორც იტყვიან, „ყველაფერი წყალში ჩაყარა": დათვრა გივი, ცა ქუდად არ მიიჩნია და დედამიწა ქალამნად... სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მილიციის მეშაკებს, როდესაც მას წესიერებისაკენ მოუწოდებდნენ. სტალინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ მას 3 დღეკმე პატიმრობა მიუსაჯა, შეიძლება არც ღირდა 1960 წლის 7 დეკემბერს მოქბღარი ფაქტის განხილვა, მაგრამ ძველი ჭრილობასავით იგი ყოველთვის გვახსენებს თავს, ყოველთვის გვაფრქვნინებს იმაზე, რომ ორი ჭიქა ზედმეტი ღვინისათვის უნივერსიტეტის სახელი შეილაზა.

ანალოგიური დარღვევა ჰქონდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტ ზოთა ივანეს ძე დავითაშვილს.

აი ერთი წერილი:

„ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშრის კომიტეტის მდივანს.

გეგზავნებათ (მასალები თქვენი ორგანიზაციის წევრის ბრძანებაზე ოთარი აკაკის ძის უმსგავსო მოქმედების შესახებ.

გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები მის მიმართ.

ჟ. თბილისის ორჯონიკის სახ. რაიმილიციის განყოფილების უფროსი მაიორი მ ა თ ი ე შ ვ ი ლ ი".

რაში იყო საქმე. თვით ბრეგვაძის ახსნა-განმარტებით ვეკითხულობთ:

„მოგახსენებთ, რომ გუშინ ჩემ ამხანაგებთან ერთად შევედით რესტორან „საკართველოში" და დავლიეთ. როცა დავთვერით, ის, ვისაც ფული შეჰონდა, ბიჭებმა გარეთ გაიყვანეს. ჩვენ, ვეგონა ფული გადახდილი იყო და გამოსვლა გვინდოდა. გამოირკვა, რომ ფული არ ყოფილა გადახდილი. მე და ძნელაძე დაგვაკავეს და ჩამოგვიყვანეს მილიციაში. შემდეგ ახანიც მოვიდნენ და დახარჯული ცაი მანეთი გადაიხადეს.

ბ რ ე გ ვ ა ძ ე"

გვინდა ვეუთხრათ ოთარს, რომ უნივერსიტეტის სტუდენტს სამაგვრო ბალის აღსაზრდელის ლოგიკით თავის გამართლება არ ეკადრება. „დავთვერით და გეგგონეს" რომ წერ, განა მიმტანმა მამალაძემ არ შეგახსენათ, რომ ფული გადასახდელი იყო? განა შენ არ ჰკარი ხელი მილიციელს და გიჭეცი, როდესაც მან ფულის გადახდა მოგთხოვთ?! გრეხვენოდეს, ოთარ!

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ აქ ესაკვო წერტილს. მხოლოდ ერთი გვინდა ეუთხრათ ჩვენს სტუდენტებს:

— ნუ შევარცხვენთ, გვიყვარდეს ჩვენი უნივერსიტეტი!

ნუგზარ ქავთარაძე
ფსუ ალკკ კომიტეტის მდივანი.

განვამტკიცოთ შემოქმედებითი თანამეგობრობა!

★ ★ ★ ★ ★ ★ ★

ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიური, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტების სტუდენტებმა გადაწყვიტეს საფუძველი ჩაუყარონ შემოქმედებით ურთიერთთანამშრომლობასა და მეგობრობას. ამ სასარგებლო და მისასალმებელ წამოწყებას ეძღვნება აღნიშნული ფაკულტეტების სტუდენტთა მეგობრობის დიდი საღამო, რომელიც გაიმართება დღეს, 24 მარტს, საღამოს 7 საათზე ჩვენი უნივერსიტეტის საკაქტო დარბაზში.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის ეს გვერდი მთლიანად ეძღვნება ამ მისასალმებელ ღონისძიებას.

მაშ ვიმეგობროთ!

მეგობრობა უდიდესი საკაცობრიო გრძნობაა. იგი ერთმანეთთან აახლოებს და აკავშირებს ადამიანებს, ხელს უწყობს საზოგადოების წინსვლა-განვითარებას. ასეთი მეგობრობა დაიბადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარულ-ჰიგიენური და სტომატოლოგიური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტების სტუდენტებში.

ბოხეცხელად განსხვავდება ერთმანეთისაგან ექიმის, მშენებელი ინჟინრისა და ეკონომისტის საქმიანობა, მაგრამ არის ერთი რამ, რაც მათ ერთმანეთთან აკავშირებს. ეს არის საერთო მიზანი — თავიანთი წვლილი შეტანონ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

ეს საერთო მიზანი გაკავშირებს აღნიშნული ფაკულტეტების სტუდენტებს.

არის მეორე მხარეც, რასაც პრაქტიკული, საქმიანი ხასიათი აქვს. ეს ჩვენი პროფესიების პროფილიდან გამომდინარეობს: მშენებელი ინჟინრის საქმიანობა სრულყოფილი არ იქნება, თუ მშენებლობის დაპროექტების დროს არ გაითვალისწინებს სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებებს. ამ შემთხვევაში მან რისკვისთვის უნდა მიმართოს ექიმ ჰიგიენისტს, რომლის საზრუნავია არა მარტო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, არამედ მშენებლობის დაგეგმვაში მონაწილეობაც.

ამ საქმიანი ურთიერთობის დამყარებას ისახავს მიზნად მეგობრობის საღამო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარულ-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების, სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტებს შორის, რომელიც გაიმართება დღეს.

ნ. სიმონიშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარულ-ჰიგიენური ფაკ. III კ. სტუდენტი.

კეთილი იყოს...

ჩვენს ფაკულტეტს თითქმის ტრაფიციად გადაექცა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან თუ წარმოებაში მუშაობელებთან მეგობრულ ურთიერთობის დამყარება. უკვე 2 წელია, რაც საფუძველი ჩაეყარა სან. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო და უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტების სტუდენტთა მეგობრობას. აბა, რომელ ჩვენგანს დავიწყებოდა ის დღე სიხარულისა და აღტაცებისა, როდესაც ორი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა შეჩვდრა სჭაბუკეს ნამდვილ ზეიმად გადაიქცა.

არც თუ ისე დიდი ხანია აგრეთვე მას შემდეგ, რაც 26 კომისრის სახელობის ქარხნის მოწინავე მუშებსა და დამკვრელ ახალგაზრდებს მოუწყვეს შეხვედრა ჩვენმა სტუდენტებმა და პროფესორ - მასწავლებლებმა.

ახლა კი, სულ მალე, ახალ მეგობრებს შეეძინეთ. კეთილი იყოს მათი მობრძანება!

ლ. წულუკიძე,
ეკონომიური ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, დ. უზნაძის სახელობის სტიპენდიანტი.

ჯანმრთელობის საღარაჯოზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიურ ფაკულტეტს 30 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. წლების მანძილზე იგი ცალკე ინსტიტუტის სახითაც კი არსებობდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს თავის არსებობის მანძილზე მოუზადებია ჩვენს 17438 ახალგაზრდა სპეციალისტი, 208 დოქტორი, 676 მეცნიერების მეცნიერებათა კანდიდატი. აქედან მარტო სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე მოამზადა 3 დოქტორი და 25-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი. ყველა ისინი ენერგიულად ემსახურებიან საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

სტომატოლოგიური ფაკულტეტი ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ერთ-ერთ მოწინავე კოლექტივს. სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე არიან ნიჭიერი, შრომისმოყვარე სტუდენტი ახალგაზრდები, რომლებიც ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რათა ღირსეულად ატარონ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტის სპეციალური სახელი. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ სწავლის ფრიადოსნებები: ი. სიხარულიძე, მ. ბურდული, მ. ნიკოლაიშვილი, ო. ნვმსაძე, ე. ზედგენიძე და სხვა.

ჩვენი ფაკულტეტის მთელი კოლექტივი — დეკანატის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ყოველმხრივ ეცდებიან, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს თბილისის სამი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა ის დიდი მეგობრობა, რომელსაც საფუძველი ახლა ეყრება.

გ. ზიკზიკაძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის ალკ ბიუროს მდივანი.

სურათზე: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტთა ერთი ჯგუფი ლაბორატორიაში პრაქტიკული საქმიანობის დროს.

გულითადად მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო!

გულითადად მივესალმებით ჩვენი რესპუბლიკის სამი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ახალგაზრდობის მეგობრობის საღამოს მონაწილეებს. „ჩვენი თაოსნობა, ძვირფასო ახალგაზრდებო, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელიც ეძღვნება საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის დღესასწაულს.

ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტი ერთ-ერთი მოწინავე ფაკულტეტთაგანია. ამასთან, სტუდენტთა რაოდენობით ყველაზე მრავალრიცხოვანია.

ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებს შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მომავ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სტუდენტებთან.

ბევრითი სწავლით და თავდადებული შრომით ახახელეთ ჩვენი სამშობლო, მომავალო სპეციალისტებო!

ჩვენი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა სახელით, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ მოგესალმოთ და წარმატებები გისურვოთ სწავლასა და შრომაში.

ჟ. ანდღულაძე,
ვ. ი. ლენინის სახ. საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. კაკაულია — ვ. ი. ლენინის სახ ლობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტ ტის ალკ ბიუროს კულტ-მასიური სექტორის ხელმძღვანელი, დ. კიკ ძე — ამავე ფაკულტეტის ალკ ბიუროს მდივნის მოადგილე, გ. თურმ ნაული — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარულ ჰიგიენური ფაკულტეტის ალკ ბიუროს მდივანი, ლ. წულუკიძე — უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის V კურსის ფრიადოსანი სტუდენტი, ნ. ბერძენაძე — ამავე ფაკულტეტის ალკ ბიუროს მდივნ მოადგილე, დ. ზიგზიკაძე — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტ ტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის ალკ ბიუროს მდივანი, ნ. ჩანგ ლაძე — უნივერსიტეტის ალკ კომიტეტის მდივნის მოადგილე, კ. კაკ ძე — ეკონომიური ფაკულტეტის ალკ ბიუროს მდივანი.

ჩვენი ფაკულტეტები

აქ იზრდებიან მომავალი ეკონომისტები

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი წარმოადგენს სოციალისტური სახალხო მეურნეობის დარგებისათვის ეკონომისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკის მეცნიერული განზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ბაზის: საქართველოში. ჩვენს ფაკულტეტს არსებობის იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რაც ჩვენს უნივერსიტეტს.

ეკონომიურმა ფაკულტეტმა თავისი არსებობის მანძილზე მოამზადა 5 600-ზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. ამჟამად ფაკულტეტის დღის დასწრებული სწავლების 26 ჯგუფში 494 სტუდენტი სწავლობს. გარდა ამისა, წარმოებისაგან მოწყვეტლად ეუფლებიან მეცნიერებას საღამოს სწავლების 503 და დასწრებული სწავლების 2200 სტუდენტი.

ფაკულტეტი ამზადებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კავშირის ეკონომისტებს, საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალისტებს, საკონსულტაციოდ ნებელებს, ფინანსისტ-კრედიტორებსა და ინეინერ-ეკონომისტებს.

მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა კადრების მომზადებას ემსახურება ფაკულტეტის ექვსი კათედრა 70-მდე პროფესორ-მასწავლებლით. ჩვენს ფაკულტეტზე არსებობს პოლიტიკური ეკონომიისა და დარგობრივი ეკონომიკის სტუდენტთა სამეცნიერო წრეები, რომლებშიაც გაერთიანებულია 150-მდე სტუდენტი.

ბევრი სტუდენტი მონაწილეობს როგორც საუნივერსიტეტო, ისე ფაკულტეტის თვითმოქმედ წრეებში. ჩვენი ფაკულტეტის თვითმოქმედმა კოლექტივმა გასულ წელს საუნივერსიტეტო ოლიმპიადაზე I-II ადგილი გიიყო ფიზოლოგებთან ერთად.

ფაკულტეტზე დიდი ყურადღებას ექცევა სპორტს. მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა I მინასაფეხურო სპარტაკიადა, რომელშიც 200-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა.

შესანიშნავად იმუშავეს ჩვენს სტუდენტებმა ნაყამირალზე. მიღებები ბევრი გვაქვს, მაგრამ არ ვიძლევთ იმის თქმა, რომ არ გვგონდეს ნაკლოვანებანი. დაე, ამ მეგობრულმა შეხვედრამ დაგვანახოს ჩვენ მეშობლის ხაკლი, დაგვანახოს გზები მათი აღმოფხვრისა და გამოსწორებისა.

ა. კაბა
ეკონომიური ფაკულტეტის ალ ბიუროს მდივანი.

ერთ-ერთი პირველთაგანი

ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტს 30 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ფაკულტეტზე ათას სამასამდე სტუდენტია, აქედან ცხრაასი — კომკავშრელი. ინსტიტუტის სხვა ფაკულტეტთაგან სამშენებლო ფაკულტეტი ერთ-ერთი პირველთაგანია სტუდენტთა აკადემიური მოსწრებით, რაც ახალგაზრდობის მაღალი შეგნების მკაფიო დადასტურებაა. საერთაშორისო აღიარება ჰოვეს ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების შრომებმა, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა.

ფართოდ გაუთქვეს სახელი როგორც ფაკულტეტს, ისე მთელ ინსტიტუტს ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმა, მოციქულვეებმა, მომღერლებმა და ინსტრუქტორ-ტალისტებმა, რომლებიც არაერთხელ გამოსულან დიდი წარმატებით როგორც რესპუბლიკაში, ისე რესპუბლიკის გარეთ.

ინსტიტუტის სახელზე მრავალი წერილი მოდის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების სამშენებლო დაწესებულებებისაგან, ისინი მადლობას უცხადებენ ჩვენი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს ნიჭიერი, შრომისმოყვარე და მაღალკვალიფიციური კადრების მიწოდებისათვის.

წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოწყვეტილნი. ჩვენი ფაკულტეტის I და II-კურსელები.

ამასწინათ სამშენებლო ფაკულტეტის ალკ ბიუროს ინიციატივით მოეწყო ტრადიციული, რიგით 25-ე დასვენების საღამო. ამ საღამოზე ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოგიწვიეთ ცნობილი სპეციალისტები, რომლებიც სამშენებლო ფაკულტეტზე ალიზარდნენ და დაეუფლენ.

მისასალმებელია ჩვენი საერთო ბოლოობა, — განვამტკიცოთ მეგობრობა თბილისის სამი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს შორის.

უფრო ხშირად შეეხვდეთ ერთმანეთს, ჩვენი მეგობრებო!

ბ. კაკაულია
დ. კიკნაძე
სამშენებლო ფაკულტეტის ალ ბიუროს წევრები.

მაღალკვალიფიციური ექიმებისათვის

დღევანდელ ეტაპზე დიდი ყურადღება ექცევა პროფილაქტიკის საქმეს, სწორედ ამ მიზნით შეიცვალა საბჭოთა კავშირის ყველა სამედიცინო ინსტიტუტში სან-ჰიგიენური ფაკულტეტების სასწავლო პროგრამები ძირითადად იმ მიმართულებით, რომ გამახვილდა ყურადღება სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტების პროფილზე.

დღეს საქართველოში ახლა ძიებაში არიან და მუშაობენ ისეთი ჰიგიენური დაწესებულებები, როგორიცაა: კვების ჰიგიენის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, პროფდაავადებათა ინსტიტუტი, ზოგადი ჰიგიენისა და შრომის ჰიგიენის კათედრები, სადაც დიპლომანტებს მრავალი მეცნიერული საკითხი.

სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტი, მისი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, დეკანატთან ერთად, ატარებენ მთელ რიგ ღონისძიებებს, რათა სამშობლოს მისცენ მაღალკვალიფიციური, თავისი საქმის მეცოდნე ექიმები. ჩვენს ფაკულტეტზე სტუდენტთა 99% კომკავშრელია და აქტიური მონაწილეობას იღებს ინსტიტუტის ცხოვრებაში, მათი აკადემიური მოსწრება 95%-ს შეადგენს. ფაკულტეტზე საუკეთესო სწავლითა და საზოგადოებრივი მუშაობით გამოირჩევიან სტუდენტები: ე. კომლაძე, კ. ფიროდინაძე, ა. კახიძე, ო. ფირცხალაიშვილი, ი. კიკნაძე, ი. ღონ[illegible] და სხვები.

სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტ[illegible] მიერ აღზრდილი სპეციალისტები [illegible] ველთვის იბრძოლენენ, რათა ცხოვ[illegible] ბაში განახორციელონ მედიცინის [illegible] რითადი ამოცანა — ლიკვიდირებულ[illegible] ნეს ინფექციური დაავადებები, [illegible] გრძლივდეს ადამიანის სიცოცხლე. [illegible] რედ ამის თხოულობს ჩვენგან საბჭ[illegible] კავშირის კომუნისტური პარტიის [illegible] ჯრილობის ისტორიული გადაწყვეტ[illegible] ლებანი.

გ. თურმანაული
თბილისის სახელმწიფო სამედ[illegible] ნო ინსტიტუტის სან-ჰიგ[illegible] ფაკ-ის ალკ ბიუროს მდივანი.

სურათზე: ფიზიკის ფაკულტეტის რუსული სექტორის I კურსის სტუდენტები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ირინა კუზნეცოვა და ნათელა ილუშკინა ლაბორატორიაში პრაქტიკული მუშაობის დროს.

ფოტო **ბ. გოგოხიანი**

პარიზის კომუნის 90 წელი

„მუშათა პარიზი მისი კომუნითურთ ყოველთვის კაცობრიობაში იქნება, როგორც ახალი საზოგადოების სახელოვანი წინამორბედი".

კ. მარქსი

1871 წლის 18 მარტს პარიზის მუშებმა პირველად ისტორიაში შექმნეს პროლეტარიატის დიქტატურის მთავრობა.

პარიზს კომუნა არ იყო მუშათა პირველი რევოლუციური გამოსვლა, მას წინ უსწრებდა მუშათა რევოლუციური ბრძოლები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ევროპაში ჯერ კიდევ პარიზის კომუნამდე დიდი ხნით ადრე. კომუნის იდეურ მომზადებაში დიდი როლი შეასრულა პირველმა ინტერნაციონალმა.

საფრანგეთ-პრუსიის ომმა, რომელიც 1870 წელს დაიწყო, და ამ ომში საფრანგეთის დამარცხებამ ქვეყანაში მძლავრი პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისი შექმნა. ომში დამარცხებამ და პრუსიასთან წინასწარი საზავო ხელშეკრულების დადებამ, რაც საფრანგეთს მძიმე პირობებში აყენებდა, მშრომელთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. პარიზის მუშები აღსდგნენ ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ და 18 მარტს დაამხეს იგი.

პარიზს კომუნის არჩევნები ჩატარდა 26 მარტს საყოველთაო არჩევნების საფუძველზე. 28 მარტს საზეიმო ვითარებაში გამოცხადდა კომუნა.

კომუნაში არჩეული იყვნენ მუშები, ინტელიგენტები, მოსამსახურეები და წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები. ამიტომ კომუნის შემადგენლობა თავისი პოლიტიკური მიმდინარეობით ერთგვაროვანი არ იყო. კომუნის სამი გაყოფილი იყო ორ პოლიტიკურ მიმდინარეობად „მეუმრავლეებად", რომელიც ბლანკისტებისაგან შედგებოდა, და „მეუმცირეებად", ანუ პროდონისტებად.

სახელმწიფო საქმეების სახელმძღვანელად კომუნაში შექმნილი იყო კომისიები — აღმასრულებელი, სამხედრო, საგარეო ურთიერთობის, იუსტიციისა და სხვ. კომისიების საერთო რაოდენობა უდრიდა ათს. მათ სათავეში ედგნენ კომუნის წევრები. უფრო გვიან, მათის თვეში, შეიქმნა საზოგადოებრივი ბსნის კომიტეტი, რომელსაც განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭა, რაც დაკავშირებული იყო ფრონტზე შექმნილ მდგომარეობასთან.

ამრიგად, კომუნის ერთ-ერთი დიდი ნაბიჯი იყო ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა და ახალი სახელმწიფოს შექმნა, რომელშიც რიგორც მთავრობა, ისე ყველა თანამდებობის პირი იყო არჩეული და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი.

კომუნა ღრმად ინტერნაციონალისტური იყო. მასში მონაწილეობდნენ, გარდა ფრანგებისა, სხვა ერების წარმომადგენლებიც. იგი ცდილობდა დაემყარებინა მშვიდობა და მეგობრობა ყველა ქვეყნების მშრომელთა შორის.

მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, კომუნამ მრავალი ღონისძიება გაატარა. შეიარაღა მუშები, გამოყო ეკლესია სახელმწიფოსაგან, სკოლა ეკლესიისაგან, აკრძალა თვითნებური ჯარიმები, ხელფასიდან ფულის დაკავება და სხვ. სახელისნოები, რომლებიც მეწარმეებმა მიატოვეს, გადაეცა სახელმწიფოს და მუშების ხელში გადავიდა.

კომუნა ბრწყინვალე ნიმუში აღმოჩნდა იმისა, თუ როგორ შეუძლია პროლეტარიატს იმ დემოკრატიული ამოცანების განხორციელება, რომელთა მხოლოდ გამოცხადება ეშარკვნოდა ბურჟუაზიას. გამარკვეულმა პროლეტარიატმა საქმით განაზორციელა საზოგადოებრივი წყობილების დემოკრატიზაცია. კომუნის არსებობა შიშს გვრიდა მსოფლიო რეაქციას. ამიტომ იყო, რომ მის ჩახშობიდან გაერთიანდნენ ვერსალელები და პრუსიელი ოკუპანტები და ერთობლივად ებრძოდნენ ალეაშმორტყმული პარიზის წინააღმდეგ. აქტიურად ეხმარებოდნენ რეაქციონერებს აშშ-ისა და მეფის რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლები, კათოლიკური ეკლესია და რეაქციის სხვა ძალები.

რეაქციის გაერთიანებულმა ძალებმა შეძლეს კომუნის დამარცხება.

კომუნის დამარცხების მთავარი მიზეზი ის არის, რომ პროლეტარიატი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული. არ არსებობდა მარქსისტული პარტია, პროლეტარიატის იდეური, ორგანიზაციული და პოლიტიკური ხელმძღვანელი, მისი დამრაზმავი ძალა. კომუნამ დაუშვა შეცდომები, რომლებმაც ხელი შეუწყეს მის დამარცხებას. მან არ გაიელაშქრა ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც ვერსალს შეიყარა თავი, და საშუალება მისცა კონტრრევოლუციის შეეკრიბა ძალები. არ იყო შექმნილი კონტრრევოლუციისა და ჯაშუშების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაცია. კომუნამ არ მოახდინა საფრანგეთის ბანკის ნაციონალიზაცია. პარიზის პროლეტარიატმა ვერ შეძლო დაკავშირებოდა პროვინციის მუშებს. იგი ვერ დაუკავშირდა ვლეზობასაც.

კომუნარებმა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში გვიჩვენეს შეუპოვარი გმირობა და რევოლუციისათვის თავდადება. კონტრრევოლუცია მოეული სისასტიკით გაუსწორდა კომუნარებს. 30 ათასი კომუნარი დაიღუპა ბრძოლებში და დახვრეტილ იქნა ვერსალელების მიერ. ათეული ათასობით კომუნარი დაუპატიმრეს და გადაიცა სამხედრო სასამართლოს. მრავალი მათგანი სიკვდილით დასჯეს, ათასობით კაცი გაიგზავნა კატორღაში. მაგრამ ამაოდ არ ჩაუვლია ამ მსხვერპლს. „...მან გვიჩვენა სამოქალაქო ომის ძალა, მან გაიარა პატრიოტული ილუზიები და დაამსხვრია გულუბრყვილო რწმენა, თითქოს ბურჟუაზიას საერთონაციონალური მისწრაფება ჰქონდეს. კომუნამ ევროპის პროლეტარიატს ახსოვლა სოციალისტური რევოლუციის ამოცანების კონკრეტულად დაუენება". (ლენინი).

კომუნის არსებობის პერიოდში მარქსი დაკავშირებული იყო მასთან, მხარს უჭერდა და ეხმარებოდა კომუნარებს, კომუნის საბჭოს ანლეგდა სახელმძღვანელო მითითებებს პარიზის თავდაცვის, ბანკის ნაციონალიზაციის და სხვათა შესახებ. კომუნის დამარცხების შემდეგ, როცა ბურჟუაზია შეეცადა გაუკეთებინა მისი გმირული ისტორია, მარქსი გამოვიდა კომუნის დასაცავად.

პარიზის კომუნის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა დახასიათებულია მარქსის განთქმულ შრომაში — „სამოქალაქო ომი საფრანგეთში", სადაც პარიზის კომუნა აღიარებულია როგორც პროლეტარიატის დიქტატურა. მარქსსა და ენგელსს კომუნა მიაჩნდათ დიდ მოვლენად პრაქტიკული გამოცდილების თვალსაზრისთან, ამის შესახებ მათ გარკვეულად მიუთითეს „კომუნისტური მანიფესტის" **1872** წ. გერმანული გამოცემის წინასიტყვაობაში.

90 წელი გავიდა პარიზის კომუნის გამოცხადებიდან. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში. პროლეტარიატი, რომელიც მაშინ მზარდი, მაგრამ მოუმწიფებელი იყო, ძლავრ რევოლუციურ ძალად იქცა. მარქსისტულ-ლენინური პარტიების ხელმძღვანელობით მის ბრძოლას ფველი წყობილების წინააღმდეგ შეგნებული და ორგანიზებული ხასიათი მიეცა. პარიზის კომუნის გაკვეთილები გათვალისწინა რუსეთისა და სხვა ქვეყნების მუშათა კლასმა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებაში. ამჟამად 87 ქვეყანაში არსებობს მარქსისტულ-ლენინური პარტიები, რომლებიც მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის მედროშენი არიან. შეიქმნა, განმტკიცდა და წარმატებით ვითარდება სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომელიც ერთ მილიარდზე მეტ ადამიანს ეერთიანებს.

დიდებულად ეღერს დიდი ლენინის სიტყვები: „კომუნის საქმე — ეს სოციალისტური რევოლუციის საქმეა, მშრომელთა სრული პოლიტიკური და ეკონომიური გათავისუფლების საქმეა, ეს მთელი მსოფლიო პროლეტარიატის საქმეა და ამ აზრით იგი უკვდავია".

დოც. **ბ. აფრიდონიძე**

მას, ალბათ, თქვენც იცნობთ!..

მესამე წელია უნივერსიტეტში სწავლობს...

თვალდაბალი და წყნარი გოგონაა, გამრჯე და საქმის მოსიყვარულე.

თბილისში სამი წლის წინათ ჩამოვიდა. სოფელში უმამო ოჯახი და მასწავლებელი დედა დატოვა. ჩამოვიდა სწავლის წყურვილით.

იგი ახლა უკვე სტუდენტია. რაკის მთები და ბქოფუბული ოფონი ბავშვობის მოგონებად დარჩა. სოფელი პატარა ონი და იქაური სამუალო სკოლა თბილისში ხოშტარიას ბუნამ და უნივერსიტეტმა შეცვალეს.

ჩვენს ქვეყანის ბუღალტერიიც ესაპერობა. ეს ყველაზე უპრეტენზიო პროფესიაა — იქნები ძლიერ სასარგებლო და ძლიერ უბრალო ადამიანი. მანაც ასე გადაწყვიტა და ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა — საბუღალტრო ალრიცხვის სპეციალობით.

თავიდანვე მუყაითად სწავლობდა. ჯერ ოთხიანი არ მიეღია. პირველი კურსიდანვე ფრიადოსანია. ლეგს ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიის.

იგი უყვართ პროფესორ-მასწავლებლებს, თანაკურსელებს, მეგობრებს. მას აფასებენ — უნივერსიტეტის ალკა კომიტეტის წევრად აირჩიეს.

ალბათ, თქვენც გინახავთ იგი სამკითხველოში, მაგიდაზე დახვავებული წიგნებით.

თქვენც იცნობთ, ალბათ, მას—საამაყო სტუდენტს, დილავარდისა დავითულიანს.

ბ. სულაძე

ლიტერატურული შენიშვნები

ჩვენს უნივერსიტეტს სპეციალისტთა კადრების საჭიროებენ, მაგრამ ამას გარდა ზოგჯერ სიტყვის ოსტატთა აკვანსაც ეძახიან. მართლაც, თანამედროვე ქართველ მწერალთა მნიშვნელოვან ნაწილს უმაღლესი განათლება აქვ აქვს მიღებული. მათ შორის არიან დღეს საქვეყნოდ სახელმოხვეული მწერლები: ს. კლდიაშვილი, ს. ჩიქოვანი, ირ. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, ალ. გომიაშვილი, ი. ნონიშვილი, რ. მარგიანი, ა. კალანდაძე, რ. ფაფავრიძე და სხვები. რაც შეეხება ქართული მწერლობის ახალგაზრდა თაობას, როგორიცაა ა. სულაკაური, მ. მაჭავარიანი, რ. ინანიშვილი, ხ. კილასონია, ნ. ფუტბაძე, ა. გეწყაე, მ. თოდუა, თ. ჩხეტყელი, ფ. ჭილაძე, ო. ჭილაძე, ო. ჭილაძე, შ. ნიმნიანიძე, მ. ფოცხიშვილი, ხ. ბოლქვაძე, გ. გეგეჭკორი, ჯ. ჩარკვიანი, ვ. ჯავახაძე, ტ. ჭანტარია და სხვები, — მათ ხომ საშუალო ნათლობაც აქვ მიიღეს და მათი პირველი ლექსები, მოთხრობები თუ თარგმანები ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში ირჩეოდა, ჩვენს ლიტერატურულ- საღამოებზე კითხებიდან და ჩვენსავე ალმანახ „პირველ სხივში" იბეჭდებოდა.

დღესაც უნივერსიტეტში, დიდი იელაიტვით რომ ვთქვათ, „პოეზიის მაღლით ცხებული" მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა სწავლობს. თუ მათი ნიჭი სწორად წარმართუნა და ნიჭს ბრომისმოყვარეობაც დაერთოს, ისინი უდავოდ ჩქეტენ საკუთარი ადგილის მოპოვებას სალიტერატურო სარბიელზე და მხარში ამოუდგებიან უფროს თანამოკალმეებს. მათთვის ხელის შეწყობას და დახმარებას ისახავს წერილ მიზნად უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე და „ამ წრის ლიტერატურული ალმანახი „პირველი ხმივი", რომლის ყოველ ახალ ნომრის ინტერესით მოელის მკითხველი.

უნივერსიტეტში მოსწავლე ახალგაზრდა შემოქმედთათვის ხელის შეწყობა თავის ერთ-ერთ ამოცანად მიჩნია ავრეთვე ჩვენს გაზეთს — „ახალგაზრდა სტალინელს", რომელიც სისტემატიურად აშუქებს ახალგაზრდა მწერალთა წრის მუშაობას, ბეჭდავს რეცენზიებს „პირველ სხივზე" თუ ცალკეულ ავტორთა წიგნებზე და, რაც მთავარია, აქვეყნებს თვითონ დამწყები მწერლების — უმეტესად პოეტების — შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს.

ამ ლექსების მეტი ნაწილი, რომელთაც ადგილი ეთმობა გაზეთ „ახალგაზრდა სტალინელის" ფურცლებზე, თავისი თემატიკით ძირითადად თანამედროვე ახალგაზრდობის ცხოვრებას ეხება და მის გრძნობებსა და მისწრაფებებს ეხმაურება. საშშბლო, სტუდენტობა, უნივერსიტეტი, შვიდობა,— ასეთია ჩვენს გაზეთში მოთავსებული ლექსების უმეტესი ნაწილის თემატური არე. ქართული მეცნიერების ტაძარს უმღერიან თავიანთი ლექსებით უნივერსიტეტში ახლად მიღებული სტუდენტები ფილარ ივარდავა და გიგლა სარიშვილი. შვიდეულ ქვეყანას, მის ზეგად მთებს ადიდებს ირინე უშვერიძე:

მოი, მთებო,
ჩემო მთებო,
ნისლით შემოსურვილებო,
ჩემო მწარე ტკივილებო,
ჩემო ტკბილო სურვილებო!..

იქნება ვინმეს გაუკვირდეს, რა მწარე ტკივილებზე — ლაპარაკობს პოეტი ქალი, მაგრამ მისმა ამხანაგებმა და ალმზრდელებმა კარგად იციან, რომ ეს გოგონა დამბადებით ყრუა და მხოლოდ გაუგონარი ენერგიის წყალობით, ჩვენი მეცნიერების დახმარებით აიდგა ეგა და ლექსებსაც კი წერს.

პოეტური სრულფასი აკლია ჯ. ტაკარაძის „უამრავ ლექსს", მაგრამ გაზეთმა თავის ერთ-ერთ ნომერში „პოეზიის კუთხე" მთლიანად დაუთმო ამ ლექსებს, რომლებშიც ყამირული სტენდენტ გულწრფელი განცდებია გამოხატული.

ცალ-ცალკე „ლიტერატურული კუთხე" დაეთმო გაზეთში ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტებს ავთანდილ გურგენიძეს, ლია ჭავჭავაძესა და დილარ ივარდავას, რომელთაც კარგი ლიტერატურული გემოვნება, სავსებისა და მოგლენების თავისებურად ხატვის უნარი და პოეტური უშეალობა ახასიათებთ.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს უდავოდ დაამახსოვრდებოდათ, მაგალითად, ოლეგ კოშეკოისადმი მიძღვნილი ა. ბერეგანძის ლექსის სტროფონები ან მისივე პატრიოტული გრძნობით გამთბარი პატარა უსათაურო ლექსი:

ვენაცვალები მშობლიური
ზეცის კამარას,
დედასთან ერთად
საქართველოს დიდებას ვფიცავ...
მშობელ მიწაში ნე გამიჭირთ
მაინც სამარეს,
— ჯაი თუ მკერდი ეტკინოს მიწასს!..

მშვიდობის თემის ორიგინალური გაანზრების ნაყოფია ლია ჭავჭავაძის „დილამშვიდობისა, მგზავრო კეთილო", იმერთოს ბუნების უხეი ფერებია გაცოცხლებული ირაკლი პოეტის ლექსში „იმერეთის გაზაფხული". ამ ლექსების ავტორს უდავოდ საინტერესო პოეტური ხილეა და საკმაოდ დაბეჭდილი მხატვრული აზროვნება ახასიათებს, მაგრამ იგი ჯერჯერობით თავისუფალი არ არის ლიტერატურული გაელენებისაგან. პოეტი უნდა შეეცადოს, რაც შეიძლება მალე დაძლიოს ეს ნაკლი, გაფფართოოს თავისი შემოქმედების თემატიკური არე, მეტი საინთელე და სისადავე მიანიჭოს ლექსებს.

საერთოდ, ჩვენი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში ამ ბოლო დროს ორი უარყოფითი ტენდენცია შეინიშნება: ერთი — ესაა ძველ ოდელიტუტ, არაჯანსაღ მიმდინარეობათა წინაშე ერთგვარი ხარკის მოხდა, რის გამოხატულებასაც განზრახ დამძიმებული, ბუნდოვანი სახეებით გატაცება წარმოადგენს; მეორე მხრივ გვაქვს ლექსის მუსიკალური მხარის უგულვებელყოფა, რიტმისა და რითმის კანონზომიერებათა დარღვევა.

ეს ნაკლოვანებანი მეტნაკლებად იგრძნობა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ლექსებშიაც. როგორიცაა ლ. ჭავჭავაძის „კოლხური ფანტაზია", ლ. სტურუას „მაგრამ ჩვენ მაინც ვიპოვით შოთას", რ. ამაშუკელის „შე სულ უბრალო ცხოვრებით ვეცხოვრობ" და სხვ. მაგალითად, რ. ამაშუკელის ლექსში, რომელიც ჩვენი გაზეთის წინა ნომერშია გამოქვეყნებული, გვხვდება ასეთი სტრიქონები:

მე მთელი ტანით მოყვარს ფერები
ლია და მუქი
და კაცის უსეფებში
ძლიერი, ძლიერი შუქი.

ძნელია ამ სტრიქონების ერთ მეტრულ მთლიანობად აღქმა, ხოლო მათი აზრი განზრახ დამძიმებული და გაბუნდოვანებულია. ყველაფერს რომ თავი დავანებინთო, რას ნიშნავს „მთელი ტანით" სიყვარული?

ცოტა ქვემოთ ავტორი ასეთ სტრიქონებს გვთავაზობს:

მე დილიდან საღამომდე ვეხეტები,
ქუჩაში ამბები ყრია ნახატებად...

თუ თავს ძალას დავატანთ, დაახლოებით შეიძლება მივხვდეთ, რისი თქმა სურდა ავტორს, მაგრამ რატომ უნდა იყოს საჭირო ასეთი ძალადატანება, რატომ არ ცდილა პოეტი, რომ აზრი უფრო ნათლად გამოეთქვა? როგორ „ყრია ამბები ნახატებად?" „ნახატებივითო" — ასე რომ ეთქვა, ეს ცოტა უფრო გასაგები იქნებოდა, მაგრამ ჩქნებ ამას ლექსის რიტმმა შეუშალა ხელი? არა, ლექსი ისეთი თავისუფალი მეტრითაა დაწერილი, რომ რიტმი აქ არაფერ შუაშია, ავტორმა სწორედ ისე თქვა, როგორც მოსწონდა და უფრო პოეტურად მიაჩნდა, ხოლო მკითხველის მოთხოვნილებას ანგარიში არ გაუწია. მკითხველს კი ისეთი ლექსი უნდა, რომელიც მის სულსა და გულს მოხდგება, აალიკლებს, დაფფერებს, ლხინსა თუ ჭირში გაჰყვება, გაახსენებენ. უამისოდ პოეზია მკვდარია.

რიტმულობა, მელოდიურობა, მუსიკალობა ქართული ლექსის განუყოფელ თვისებებია. ერთხელაც შემოშვებული და დადგენილი კანონზომიერების დარღვევა აფალიცა, მაგრამ ძნელია მოიძებნოს სამაიერო საშუალებანი, რომ ლექსმა ლექსის სახე არ დაკარგოს, რისი საშიშროებაც, ჩვენი აზრით, უეჭველად იგრძნობა ქვეთ სტრიქონებში:

ფრინველები ცას ეფინებიან გუნდებად,
ცხოველები ტოვებენ თავიანთ
სამყოფელს,
მიწაზე კვლავ მძაფრი სიცოცხლე
ბრუნდება,
ვეება მზე ერთნაირად აშუქებს ქალაქს
და სოფელს.

(დ. ივარდავა — „დღე და ადამიანი")

ანდა:

იყო ძალიან პატარა ბიჭი
და მას ძალიან უნდოდა გაზრდა...
და როცა გაიზარდა ძალიან დიდი,
როცა მოწონებით უხდიდნენ ქუდებს,
ვერავინ ზედმეოდა, რომ ჭუჭაში
დადიოდა
ძალიან პატარა ბიჭი...

(ვ. ჩარკვიანი — „დიდება")

როგორც ცნობილია, სიმბოლისტებსა და სხვადასხვა იდეალისტურ მიმდინარეობათა წარმომადგენელ პოეტებს ჩვენში ადრეც ჰქონდათ ასეთი ცდები, მაგრამ მათ წარმატება არ მოპოოლია. ამ პოეტებიდან ლიტერატურის ისტორიას მხოლოდ ისინი შემორჩენენ, ვინც დაგმო ეს მცდარი გზა და ქართული პოეზიის რეალისტურ ტრადიციებს დაუბრუნდა. ახლაგაზრდა პოეტებმა უნდა გათვალისწინონ უფროსი თაობის ეს გაკვეთილები, მეტი უნდა იზრუნონ ლექსის იდეური სიმაღლისა და მხატვრული სრულყოფისათვის.

ზურაბ ბუმბერიძე

მეტი ყურადღება მივაქციოთ სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას

* * * * * *

ზოგიერთი „წვრილმანის“ შესახებ

სტუდენტთა ქალაქი!
რა ბევრის შემცველია ეს ორი სიტყვა!

ამ სიტყვებში იგულისხმებიან ერთიანები, ათასეულები, ასეულები... იგულისხმებიან მოძალადე იმედრნები, ბედგოგები, სოფლის მეურნეობის, ხელოვნების მუშაკები.

სტუდენტქალაქის სამმართველოს, სტუდსაბჭოს მოწოდებაა ამ პატარა, კოშკწია ქალაქის ბინადართა შეუქმნან ნორმალური სწავლისა და დასვენების ყველა პირობა. ამ მიმართულებით ბევრი კარგი ღონისძიება ხორციელდება. სტუდქალაქში გაიხსნა ნახევრფაბრიკატების მაღაზია, სასადილოში შედარებით გაუმჯობესებულ კერძების ხარისხი, წელს კარგი იყო გათბობაც. სტუდქალაქის კლუბი მრავალ საინტერესო საღამოს, ხოლო ადგილობრივი რადიოკვანძი — კარგ გადაცემებს აწყობს; თითქმის ყველა კორპუსში დადგმულია ტელევიზორი და ა. შ.

მაგრამ ნაკლიც ბევრია.

სტუდქალაქის მცხოვრებთა უმეტესობა უნივერსიტეტის სტუდენტობაა. უნივერსიტეტში დილის 9-ის ახლოვარზე იწყება სწავლა, სტუდქალაქის სასადილო კი რვაზე იღება. ბუნებრივია, სტუდენტები იძულებული ხდებიან უსაუზმოდ წავიდნენ ლექციებზე. განა ძნელია იმის მოწესრიგება, რომ სასადილო რვის ნახევარზე იღებოდეს?

სასადილოს ქვეშა სართულზე არაა ვენტილაცია, როგორც კი კარებს შეაღებ, ისეთი მძაფრი სუნი გეცემა, რომ ჯამის ძაღა წაგიდგება.

თითქმის ყოველთვის—საუზმის დროს, სადილობისას, სამზარეულის — იქნებება რიგები. ამას იწვევს თეფშებისა და ჭიქების ნაკლებობა. უხერხულობას ქმნის აგრეთვე რაის ყოფნების სიმცირეც.

სასადილოში ჭიქები და თეფშები ეხარისხოდ, ნაჩქარევად ირეცხება. ისინი „ნახევრად გარეცხილის“ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ყოველ მაგიდაზე თუ არა, ორზე მაინც უნდა იყოს განაწილებული წყლის სერვი, მაგრამ სასადილოს ყველ დარბაზში ერთ სერასაც ვერ იპოვით.

პურის მაღაზია მომსახურებას ძირითადად ქალაქის მოსახლეობას უწევს. ქალაქის მცხოვრენი თავისუფლად დადიან სტუდქალაქის ტერიტორიაზე; საშუ არაგინ ითხოვს, სტუდენტებს მორიგეობაც ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ბუფეტი და სასადილო, რა თქმა უნდა, საკუთარი ინიციატივით, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მუშაკსა და ახლომახლო მიმდინარე შენებლობათა მუშებსაც ემსახურება.

სასადილოს წინმდებარე პატარა სკვერში არ დგას არც ერთი სკამი, რომ ჩამოჯდე და დაისვენო ან რადიოს მოუსმინო.

1960 წლის სექტემბერში სტუდენტთა ქალაქის კლუბში პირველკურსელებთან შეხვედრაზე შეკრებილმა სტუდენტებმა სტუდქალაქის ხელმძღვანელობისაგან გაიგეს, რომ ბევრი რამ გაკეთდება ამ სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, კარგად ჩატარებული რემონტი კორპუსებში, კაპიტალური რემონტი გაუკეთებიათ აბანოსათვის, კლუბისათვის...

ამის გამეორე სტუდენტებს იმედი მიეცათ, რომ იმ დღიდან მაინც მოეღებოდა ბოლო სტუდქალაქის აბანოს უხერხო მუშაობას. იმედი მიეცათ, რომ ცალკეშიაც. რომლის რემონტზეც საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა, მოწესრიგდა იქნებოდა შესაფერისი სკვერი. დ, რაც მთავარია, აღარ მოიზდებოდათ კინოპარატის მოშლის, ან ბუქის ჩაქრობის შედეგად კინოფილმის ჩვენების დამთავრებამდე წასვლა. მაგრამ სტუდენტებს იქედები გაუცრუებანთ, რომელშაც ოპტიმბრამდეც ვერ ითმენა. უკვე ხუთი თვე გავიდა მას შემდეგ. რაც აბანოს კარებს კლიტე დაედვა: მიზეზი ისაა, რომ აბანო გაზზე გადაიყვანეს, მაგრამ ავტომატური ჩართვა ვერ მოახერხეს...

თუ აქამდე სტუდენტები იმას საყვედურობდნენ, რომ კინომეკანიკოსი დაბალკვალიფიკაციური იყო, ცუდად ზეკობდა ფილმების ჩვენება, რომ სეანსის დროს ხშირად ქრებოდა სინათლე, რომ ერთ ადგილზე ზოგჯერ რამდენიმე ბილეთს ყიდდნენ, ახლა ისეთი საქმე დაემართათ, რომ ის „წვრილმანები“ გადავიწყდათ: კინოთეატრი მოღლილ ხახრეს? მიზეზი? „სახანძრომ დაგვიხერა, კინოჯიხური დამაბალ ფიცრისაა, ახალი უნდა აიგოს და თანაც ბეტონისაო“ — ამბობს კლუბის გამგე. სანტერესოა: რატომ არაგინ იფიქრა კინო-ჯიხურის შეცვლაზე, როცა სტუდქალაქში მიმდინარე რემონტი ტარდებოდა? ან ეს რა საკადრისია: სამი კვირაა კინოთეატრი დაკეტილია, რემონტისათვის საჭირო მასალა კი ჯერაც არაა მოზიდული. დაკეტვით კი დაკეტეს, მაგრამ რიდის დაიწყება უკარგესის შეცვლა ეარგისით, რიდის განაახლებენ კინოფილმების ჩვენებას?!

კორპუსებში ქეჩის განაპირა კარები დაკეტილია და შესასვლელად მარცხენა მხრის შუა კარია დატოვებული. მართალია, ეს ერთგვარ უხერხულობას ქმნის, მაგრამ ცუდი არაა. ოღონდ საჭიროა დღეში ერთი საათით მაინც გაიღოს წინაკარები, რომ დერეფანში ჰაერი განიავდეს.

სტუდქალაქში 12 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ცხოვრობენ. კოსკში ყოველთვის „ნახავთ ახალ გაზეთებს, ჟურნალებს, მაგრამ ინსტიტუტების მრავალტირაჟიან გაზეთებს ვერ შეხვდებით, მათ აქ არ ჭყიდიან.

ყველა ასეთი „წვრილმანი“ დროულად უნდა მოგვარდეს.

რ. გაჩჩოშვილი,
მ. მიხეილიძე

სტუდქალაქში მცხოვრები სტუდენტები სამართლიანად ემდურიან მმართველობას კინომომსახურების მხრივ. ი, ახლაც სტუდენტი მოვიდა ახალი კინოფილმის სანახავად, მაგრამ კარები მაგრად დაკეტილი დახვდა. იქნებ უკვე სეანსი დაიწყო და სტუდენტმა დაგვიანა? არა! — იქ არავითარი სეანსი არ მიმდინარეობს, იგი დიდიხანია დაკეტილია დაგვიანებული რემონტის მიზეზით.

სტუდქალაქის სასადილომ საგრძნობლად გაიუმჯობესა მუშაობა. სტუდენტები კმაყოფილნი არიან სასადილოში თვითმომსახურეობის წესის შემოღებით. ამ სურათზე აღბეჭდილია ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი გ. ჯოიშვილი, რომელიც მებუფეტე ტ. სილეთიანოვასაგან იღებს საუზმეს.

სპორტის კუთხე

საინტერესო ლექცია

სამშაბათს, 14 მარტს სტუდქალაქის კლუბში ტევა არ იყო. ალუბი მოლად გაეფიღლი იყო თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრებით. ბევრი ისეთი მოუთმენლად მოელოდნენ ქართული ფეხბურთის სიამაყეს, ფეხბურთის ვეტერანს. სპორტის დამსახურებულ ოსტატ ბორის პაიჭაძეს. მოელოდნენ მის სიტყვებს, შენიშვნებს საყვარელი გუნდის მიერ ჩატარებულ მატჩებზე. ბ. პაიჭაძე მოშველის პერსპექტივებზე.

ფეხბურთის ვეტერანის გამოჩენისთანავე დარბაზში ტაშმა იგრიალა. მოეხვდებად იმისა, რომ ლექციის თემას შეადგენდა „თბილისის დინამოს საკთამშრომლო მატჩები“. მან ვრცლად ილაპარაკა გუნდის შესახებ. ილაპარაკა სსრკ თასის გათამაშების ფინალის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად დაუყვიტა ბული დინამოს გულშემატკივრებს. მსმენელებს ერქალდ გადასცა ინგლისში ყოფნის დროს ნახული და განცდილი, დაუშვრილებით მოუყვა დინამოს მიერ ინგლისში ჩატარებული სამი მატჩის შესახებ.

მსმენელთა სიხარული გამოიწვია იმან, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა — ს. კოტრიაძემ, ა. ლოლობერძემ, მ. მესხმა და სხვებმა მაღალი შეფასება მიიღეს ინგლისური ფეხბურთის გამოჩენილი ოსტატებისგან.

ლექციის დასასრულ ბორის პაიჭაძემ ... ხი გასცა უამრავ ... კითხვას. თავისი ... გამოთქვა თბილისის ... ნამის ნაკლოვან მხარეებზე, ახალგაზრდა ფეხბურთელების აყვანა და გამოზრდაზე. მან ... ნელებს მოუთხრა მსოფლიო პირველობის ... სახებ და აღნიშნა, რომ 1962 წლის მსოფლიო პირველობა ერთ-ერთ ... ყველაზე დაძაბული ... საინტერესო იქნება.

სტუდქალაქის მმართველ ... ამ ... ბ. ვარდოსანიძემ სტუდენტთა სახელით ... ალი ... ლეთ ... ბარის ... ბა გადაუხადა.

ჩვენი მძლეოსნები II ადგილზე

ჩატარდა თბილისის საგაზაფხულო პირველობა მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და წარმოება-დაწესებულებების სპორტული კოლექტივები.

უნივერსიტეტის მძლეოსანთა კოლექტივი გამოვიდა იმ ქვეჯგუფში, სადაც იბრძოდნენ უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები.

სამდღიანი სპორტული საინტერესო ასპარეზობის შემდეგ I ადგილი დაიკავეს ფიზჯულტურის ინსტიტუტის მძლეოსნებმა, II ადგილი — უნივერსიტეტის, ხოლო, III — პოლიტექნიკური ინსტიტუტის მძლეოსნთა კოლექტივმა.

მიუხედავად ცუდი ამინდისა, პირად ჩათვლაში ნაჩვენები იქნა რამდენიმე კარგი შედეგი: ესტაფეტაში 4×100 მეტრზე ვეფთათვის უნივერსიტეტის კოლექტივმა, რომელს შემადგენლობაში გამოდიოდნენ ვ. ქორიაშვილი, რ. ქორაძეძე, ხ. ჯარაშვილი და ე. ზემლიანი, შედეგით 44,5 წმ. დაიკავა პირველი ადგილი და დაამყარა უნივერსიტეტის ახალი რეკორდი: უნივერსიტეტის ახალი რეკორდი შების ტყორცნაში ვეფთათვის დაამყარა გ. მიქაბერიძემ, მისი შედეგია 60,2 მ.

ვ. ქორაკიძემ სიგრძეზე ხტომაში შედეგით 7,09 მ. დაიკავა I ადგილი, ნ. თეიფრმა პირველი ადგილი მოიპოვა 5 კმ რბენაში; ვეფთენდან ასევე კარგად გამოვიდნენ მძლეოსნები ვ. ქორიაშვილი (სიგრძეზე ხტომა), ე. ზემლიანი, ი. ჩითაროი (100 200 მ რბენა) ვ. ... სიაშვილი (თარჯეულ რბენა 120 მ.), გ. ორსაძე ... ვილი (სმამალეზე ხტომა) და სპორტის ოსტატი ზ. ჯარაშვილი (100 რბენა). ქალებიდან ... ვად გამოვიდნენ ლ. ... ლეკვა და გ. დიარკოვა. რომლებმაც I ... ლები დაიკავეს სიგ ... ძე ხტომაში და ... თვის კვრაში; მეორე ... გილები მოიპოვეს. გაბუსაძემ (400 მ. რბენა) და ნ. მისიაშვილ ... მა (სიმაღლეზე ხტომ ... უნივერსიტეტის ქალ ... გუნდმა, რომლის ... მადგენლობაში იყვნ ... ლ. ოვალეკვა, ნ. გაბ ... ხაძე, ნ. მისიაშვილი ... ნ. მაოიაშვილი ... ფეტაში (4×100 ... დაიკავა II სპორ ... ადგილი.

რ. ცეროვა

ერთდროული თამაშის სეანსი

15 მარტს უნივერსიტეტში ლექცია და ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა ოსტატმა ბუფელდმა 28 დაფაზე.

ოსტატს დაფებს უმრავლესობაზე შეუტევრი წინააღმდეგობა გაუწიეს ჩვენმა მოჭადრაკეებმა. სეანსის შედეგია 21½:6½ — ოსტატის სასარგებლოდ.

ოსტატთან წარმატებას მიაღწიეს დოდ. გ. ადეიშვილმა, ი. ვეწაძემ, თ. ფიტცხალავამ, ა. ხელაშვილმა, ნ. ... ყაიმიდი დაამთავრეს პარტიები ზ. გეგეჭკორმ, აბრამაშვილმა, ნ. მორნოვმა, ა. ფესხიამ, ... დაიკავა I სპორტ ... ადგილი.

ამ სურათზე სტუდენტთა ქალაქის ერთ-ერთი საცხოვრებელი ოთახია გამოსახული. თვალში გეცემათ უწესრიგობა და უსუფთაობა, რაც ანე „დაუკანონებლობით“ მის უდისციპლინო მცხოვრებლებს...

ოთახში ავეჯი არასაკმარისია

სტუდქალაქში ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა უმრავლესობა IV კორპუსში ცხოვრობს. როგორია მათი საყოფაცხოვრებო პირობები? — საკმაოდ ბევრი ნაკლით ხასიათდება.

როცა სტუდენტთა ოთახებს ვათვალიერებდით, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესდით, თუ რას გვეტყოდნენ თვითონ სტუდენტები თავიანთი მდგომარეობის შესახებ. სტუდენტთა ერთ ჯგუფს შევეკითხეთ, თუ რა აკლიათ მათ ან რით არიან უკმაყოფილ. ერთმა მათგანმა მოსწრებულად გვიპასუხა: „თქვენ გვეკითხებით, რა გვაკლია? უმჯობესია გვკითხოთ — „რა გაქვთ?“ უნდა ითქვას, რომ იმ ამბახაგის პასუხი არც მოლიანად საფუძველმოკლებული იყო.

დაიწყოთ იქიდან, რაც მხოლოდ IV კორპუსის თავისებურებას არ წარმოადგენს და მთელი სტუდქალაქისთვისაა დამახასიათებელი. ესაა წყლით მომარაგებისა და განათების საკითხი. სტუდენტებმა გვითხრეს, რომ ზაფრა ზოგიერთი გამოსაკლისისა (რომელსაც უკვე შევეჩვეთ და აღარ გვიკვირს), წყალი რეგულარულად ვართ უზრუნველყოფილი და სტუდქალაქის სიბეს მიმართ ამ საკითხში მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, რადგან უწინდელივით ლუქცეებზე პირდაბანელი წასვლა აღარ გვიხდებაო. რაც შეეხება, განათების საკითხს, აქ სერიოზული ნაკლია. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, სტუდქალაქის ხელმძღვანელობა ალბათ იმით იმართლებს თავს, რომ სტუდენტები ისედაც განთლებული ხალხია და ზოგჯერ განათება რომ მოეკლოთ, ამით არაფერი დაშავდებაო.

ბევრი ნაკლია IV კორპუსის ოთახების აეკეთ უზრუნველყოფის საკითხში. დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა თითქმის არცერთ ოთახში არ არის. თუმცა ზოგიერთ ოთახში მცხოვრები კოლექტივები შერიგებიან ბედს და, რაც მიეცია, იმითაც გამოვნებით და ფაქიზად მოურთავთ ოთახი, ხოლო ზოგიერთი ხელმისაწვდომი ნივთი პირადი სახსრებითაც შეუძენიათ. ამ მხრივ სანიმუშოდ უნდა იქნეს დასახელებული 25-ე, 37-ე და შე-40 ოთახები. მაგრამ ესენი ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვს კეთდებიან და საერთო ვითარების დასახასიათებლად არ გამოდგებიან.

საცხოვრებელ ოთახთა უმრავლესობა „ავამების, საწოლების, ტანსაცმლისა და პატარა კარადების („ტუმბოჩკები“) ნაკლებობას განიცდის. მიემართოთ ფაქტებს. მე-17 ოთახში 5 კაცი ცხოვრობს, დგას 4 საწოლი, აქედან ერთი მორყეული. მეხუთე საწოლს მაგიერობას სტუდენტთა მიერ შეძენილი დასაკეცი საწოლი („ლეკანკა“) ასრულებს. ოთახში დგას ტანსაცმლის ერთი კარადა, რომელიც თავისი ტევადობით 2 კაცს თუ მოემსახურება. დანარჩენების ტანსაცმელს კედელზე ან სკამებზე აქვთ მიჩნეული ადგილი. მოხერხებულ სტუდენტებს „დაკოკლებული“ სკამები ტანსაცმლის მოსათავსებლად გამოუყენებიათ. 5 „ტუმბოჩკის“ მაგიერად ოთახში არის ორი, აქედან ერთი სახმარად უკარგისია.

ასეთივე მდგომარეობაა 24-ე ოთახში, სადაც სკამების ნაკლებობის გამო (5 კაცზე ორი სკამი) საწოლებს ორი ფუნქცია აკისრიათ — დასაძინებელი და დასაჯდომი.

ასეთი ფაქტების მოყვანა კიდევ ბევრი შეიძლება, მაგრამ ისინი ახალს ვერაფერს გვეტყვიან. კორპუსში არ არის ცხელი წყლის მიმწოდებელი დანადგარი, რომელიც ადრე ყოფილა, მაგრამ ამჟამად სტუდენტებს მის შესახებ მხოლოდდა ტკბილი მოგონება შერჩენიათ.

IV კორპუსში მცხოვრებთა მრავალჯერ გაკრუებული და უკვე უიმედოდ ქცეული მოლოდინი მდგომარეობის გაუმჯობესებისა ყველა გრძელდება. სინტერესოა, ასეთ დროს რას ფიქრობენ სტუდენტთა ქალაქის სამმართველოში.

თ. კოპეუნაძე,
ს. ფეიერული.

რედაქტორი ირ. ვეფხვაიძ

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2—88—84

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 1. ტირაჟი 1 500. ეუ 02385